

შპს „დაბლ ა შიპინგი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სექტემბერი 2023

თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	9
დასკვნის ბოლო გვერდი	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დაბლ ა შიპინგი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დასკვნა

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „დაბლ ა შიპინგი“-ს (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - პირობითი მოსაზრების საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

შვილობილი კომპანიისგან ვერ შევძელით დეტალური, სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღება ფინანსურ ჩანაწერებზე, შესაბამისად ვერ შევძელით ელიმინაციის ტრანზაქციების სისწორის დადასტურება დებიტორების და კრედიტორების ნაწილში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების

დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“ (SARAS-F-798362)

23 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულება გამოვთქვით მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე, ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა აუდიტის პირობითი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286).

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“ (SARAS-F-798362)

23 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო



შპს “დაბლ ა შიპინგი“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	8	51,060	51,060
ძირითადი საშუალებები		-	8,106,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		51,060	8,157,060
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	10,203,468	1,445,163
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	3,357,984	6,487,835
საგადასახადო აქტივები		20,606	13,849
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	-	1,058,153
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,582,058	9,005,000
სულ აქტივები		13,633,118	17,162,060
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება/ ზარალი		(8,278,819)	382,414
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი		530,324	596,009
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი		9,828,650	(6,401,897)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,080,155	(5,423,474)
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	9,976,415	22,585,535
საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებები		1,576,548	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,552,963	22,585,535
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,633,118	17,162,061

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

23 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს "დაბლ ა შიპინგი"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

		12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	8	51,060	51,060
ძირითადი საშუალებები		-	8,106,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		51,060	8,157,060
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	10,203,468	1,445,163
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	3,357,984	6,487,835
საგადასახადო აქტივები		20,606	13,849
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	-	1,058,153
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,582,058	9,005,000
სულ აქტივები		13,633,118	17,162,060
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(8,278,819)	382,414
უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი		530,324	596,009
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		9,828,650	(6,401,897)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,080,155	(5,423,474)
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	9,976,415	22,585,535
საბაჟო და საგადასახადო ვალდებულებები		1,576,548	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,552,963	22,585,535
სულ ვალდებულები და კაპიტალი		13,633,118	17,162,061

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს დაბლ ა შიპინგი“

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

	შენ.	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	7,872,387	12,942,853
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(10,651,460)	(15,786,909)
საერთო მოგება		(2,779,073)	(2,844,057)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(10,836,402)	(4,939,498)
საოპერაციო ხარჯები		(10,836,402)	(4,939,498)
სულ საოპერაციო მოგება		(13,615,475)	(7,783,555)
არასაოპერაციო შემოსავლები		49	2,259
სხვა შემოსავლები	11	25,355,115	1,408,342
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	14	(54,882)	(28,943)
ფინანსური ხარჯები		(4,217,479)	-
არასაოპერაციო ხარჯები		21,082,803	1,381,658
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		7,467,328	(6,401,897)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		7,467,328	(6,401,897)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს დაბლ ა შიპინგი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარში)

	შენ.	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	7,872,387	12,942,853
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(10,651,460)	(15,786,909)
საერთო მოგება		(2,779,073)	(2,844,057)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(10,836,402)	(4,939,498)
საოპერაციო ხარჯები		(10,836,402)	(4,939,498)
სულ საოპერაციო მოგება		(13,615,475)	(7,783,555)
არასაოპერაციო შემოსავლები		49	2,259
სხვა შემოსავლები	11	25,355,115	1,408,342
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	14	(54,882)	(28,943)
ფინანსური ხარჯები		(4,217,479)	-
არასაოპერაციო ხარჯები		21,082,803	1,381,658
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		7,467,328	(6,401,897)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		7,467,328	(6,401,897)

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს დაბლ ა შიპინგი“
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) /მოგება	სხვა რეზერვები და დაფინანსება	უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვი	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	382,412	-	335,523	717,935
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	(6,401,897)	-	-	(6,401,897)
ცვლილება უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვში	-	-	-	260,486	260,486
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(6,019,485)	-	596,009	(5,423,476)
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	7,467,328	-	-	7,467,328
ცვლილება უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების რეზერვში	-	-	-	36,303	36,303
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,447,843	-	632,312	2,080,155

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

23 სექტემბერი, 2024
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს დაბლ ა შიპინგი

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალ	აკუმულირებული (ზრდა) /მოგება	სხვა რეზერვები და დფინანსება	უცხოურვალუტაში გადანგარიშების რეზერვი	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	382,412	-	335,523	717,935
საწესდებო კაპიტალ	-	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	(6,401,897)	-	-	(6,401,897)
ცვლელა უცხოურვალუტაში გადანგარიშების რეზერვში	-	-	-	260,486	260,486
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(6,019,485)	-	596,009	(5,423,476)
საწესდებო კაპიტალ	-	-	-	-	-
პერიოდის შედეგი	-	7,467,328	-	-	7,467,328
ცვლელა უცხოურვალუტაში გადანგარიშების რეზერვში	-	-	-	36,303	36,303
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	1,447,843	-	632,312	2,080,155

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს “დაბლ ა შიპინგი“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	7,467,328	(6,401,897)
კორექტირება:		
წმინდა (ზარალი)/სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაბიდან	54,882	28,943
	7,522,210	(6,372,954)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში	1,058,153	322,102
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	3,050,985	11,899,783
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(10,900,137)	(8,701,873)
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	(6,756)	(13,849)
ცვლილება სხვა აქტივებში	8,105,998	3,044,245
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	8,830,453	177,454
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(72,148)	(87,593)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	8,830,453	177,454
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,445,164	1,355,303
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	10,049,827	1,445,164

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

შპს "დაბლ ა შიპინგი"

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	2023	2022
მოგება და ბეგვრამდე	7,467,328	(6,401,897)
კორექტურება:		
წმინდა (ზარდ)/სარგებელ გაცვლით კუჭის სხვაბიდან	54,882	28,943
	7,522,210	(6,372,954)
ჯულ საოვერციოსაქმიანობიდან		
(ზრდ)/შემცირება სასაქონლო-მატრიალურ ფსეულბაში	1,058,153	322,102
(ზრდ)/შემცირება სავაჭრო დებიტურულ ვალანებაში	3,050,985	11,899,783
(ზრდ)/შემცირება სავაჭროდ სხვა ვალდებულებებში	(10,900,137)	(8,701,873)
(ზრდ)/შემცირება საგადასახად ვალდებულებებში	(6,756)	(13,849)
ცვლელბა სხვა აქტვებში	8,105,998	3,044,245
წმინდა ჯულ საოვერციოსაქმიანობიდან	8,830,453	177,454
უცხოური ვალუტის ეფექტი ჯულზე	(72,148)	(87,593)
ჯულ სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდ	8,830,453	177,454
ჯულ და ჯულ სახსრები პერიოდს დასაწყისში	1,445,164	1,355,303
ჯულ და ჯულს ექვივალენტები პერიოდს ბოლს	10,049,827	1,445,164

ხელმოწერი პირე:

დირექტორი

23 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 9-23 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

1. განმარტებითი შენიშვნები

ჯგუფის შესახებ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს), საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტი შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შპს „დაბლ ა შიპინგი“ (იგივე Double a shipping LLC) კომპანიის მიერ (შემდგომში „ჯგუფი“).

შპს „დაბლ ა შიპინგი“ - დაარსდა 2018 წლის 31 იანვარს. „Double a Shipping“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში საქართველოს კონსოლიდირებული და დებულებების შესაბამისად. რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქალაქი - ბათუმი, ქუთაისის ქუჩა N34. კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 445525325.

შპს „დაბლ ა შიპინგი“ 100% წილის მფლობელი არის ვლოდიმირ ჩერნიიევსკი, ხოლო დირექტორი დალი ჯიჯავაძე.

შპს „დაბლ ა შიპინგი“ ოპერირებს ასევე შვილობილი კომპანია კორპორაცია „პარკ ვეი ინვესტორს“-ის (ID – 727259) მეშვეობით, რომლის რეგისტრაციის თარიღია 15 თებერვალი 2011 წელი და დირექტორი - რიკარდო ვასკეზი. შპს „დაბლ ა შიპინგი“ „პარკ ვეი ინვესტორს“-ის 100% ის მფლობელია 2020 წლის 23 იანვრიდან.

ძირითადი საქმიანობა.

კომპანია „დაბლ ა შიპინგი“ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიზანია მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვა საზღვაო გზით. გემის ძირითად პროცესებში და ამ პროცესების მენეჯმენტში ჩართულია კომპანია შპს „UkrFerry“, რომლის მხრიდანაც ხდება გემის მომარაგება ყველა საჭირო ინვენტარით, ეკიპაჟის საკვებით და შესაბამისი კალკულაციებს აწვდის „დაბლ ა შიპინგი“ რის საფუძველზეც ხდება თანხების ჩარიცხვა მისი მხრიდან, ასევე საწვავით რაც გულისხმობს საწვავის კომპანიების მოძიებას (უშუალოდ ანგარიშფაქტურების მოწოდება ხდება უკვე ამ კომპანიებისგან). თურქეთში საკვებით მომარაგებას შპს „UkrFerry“-ის ნაცვლად უზრუნველყოფს კომპანია BESTCHEM KİMYA A.Ş. კომპანიას ასევე ყავს სამი აგენტი: საქართველოში - U&G Agency, უკრაინაში - GLOBALTRANSPAROM, თურქეთში - “Dabkovic Deniz Acenteligi Nakliyat Ve Ticaret A.S.”, რომელთა მოვალეობაა ტვირთბრუნვის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლი, კოორდინაცია, დათვლა, ტარიფების გაკონტროლება, ყოველდღიური შესაბამისი ფაქტურების წარმოება, ყველა ტვირთბრუნვის შესახებ გემზე მოაწოდოს ინფორმაცია გემის მფლობელ კომპანიას, მომუშავე პერსონალის ცვლილებების შესახებ და ასევე ცდილობს შეამციროს ხარჯები და დრო შესაბამისი ოპერაციებისთვის. ტვირთი ძირითადად მოიცავს: ჭურჭლის, სამზარეულოს ან სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციას და მათ ნაწილებს შავი ლითონებისგან, ლითონის "მატყლის", სამზარეულოს სარეცხი მანქანების, საწმენდი ან გასაპრიალებელი ბალიშები, ხელთათმანები და მსგავსი ნაწარმი შავი ლითონისგან, სხვა უქანგავი ფოლადისგან.

კომპანია ოპერირებს საქართველოში. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომელთაც თან ახლავს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა იხვეწება და ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც სხვა იურიდიულ და ფისკალურ წინააღმდეგობებთან ერთად ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი პირების წინაშე არსებულ გამოწვევებს. ფინანსური ანგარიშგებები ასახავს მენეჯმენტის შეფასებას კომპანიის ბიზნეს გარემოს გავლენის შესახებ კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის მოლოდინებისაგან.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2023	31 დეკ 2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არ არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების

მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაფერისია).

ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირებისთვის განსაზღვრული და გამოყენებული აქტივებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულებით
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI ან (FVTPL) .

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯებში, ფინანსური შემოსავალში ან სხვა ფინანსური მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 22.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების უმეტესობა, ისევე როგორც, ბასს 39-ის მიხედვით, ფლობისთვის

განსაზღვრულად კლასიფიცირებული ობლიგაციები, ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან ვადაგადაცილების მიხედვით. დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9- გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში იხილეთ შენიშვნა 23 (ბ).

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22.2- ში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება).

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-სა და ფასდათმობის გარეშე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ორგანიზაციის საპაიო კაპიტალი ფორმირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება დოკუმენტურად შეესაბამება მთავარი წიგნის შესაბამისად ანგარიშებზე ასახულ ცვლილებებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ წლიური პერიოდებისთვის.

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვრიდან.

ქვემოთ მოცემულ ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ცვლილებები ბასს 8-ში - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - სააღრიცხვო შეფასების განმარტება
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - სააღრიცხვო პოლიტიკის ასახვა განმარტებით შენიშვნებში;
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - ერთჯერადი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი
- ცვლილებები ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები - საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.
- ცვლილებები ბასს 12-ში - მოგებიდან გადასახადები - გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაბაგვერა მოგების გადასახადით პილარ 2 მიდგომით.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის გამოცემული იყო რიგი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა და არც კომპანიას გამოუყენებია ვადაზე ადრე.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი სტანდარტის და ცვლილების დანერგვა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მოხდება იმ პირველივე პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ახალი სტანდარტისა თუ ცვლილების ძალაში შესვლის გამოცხადებული თარიღიდან.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ქვემოთ მოცემული სტანდარტებითა და განახლებები მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ იქონიებს.

- ცვლილებები ფასს 16-ში - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვებში უკუიჯარის პირობებით;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - ვალდებულებების მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია;
- ცვლილებები ბასს 1-ში - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა - გრძელვადიანი ვალდებულებების კლასიფიკაცია შეზღუდვებით/კოვენანტებით;
- ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7-ში - ფინანსური ინსტრუმენტები - განმარტებითი შენიშვნები: მომწოდებლებთან არსებული ფინანსური შეთანხმებები;
- ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 10-ში - ინვესტორის მიერ აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში.

შპს „დაბლ ა შიპინგი“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

5. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2023	12/31/2022
მარაგები	-	1,058,153
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	-	1,058,153

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12/31/2023	12/31/2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,338,122	6,467,973
სავადასახადო აქტივი	19,862	19,862
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,357,984	6,487,835

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	12/31/2023	12/31/2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	882	1,743
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,202,587	1,443,420
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	10,203,468	1,445,163

8. ინვესტიციები

ინვესტიციები	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	51,060	51,060
სულ ინვესტიციები	51,060	51,060

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12/31/2023	12/31/2022
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	11,552,963	22,585,535
გადასახდელი ხელფასები		
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,552,963	22,585,535

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	12/31/2023	12/31/2022
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	7,872,387	12,942,853
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	7,872,387	12,942,853

შპს „დაბლ ა შიპინგი“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი
თანხები მოცემულია ლარში

11. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სხვა შემოსავლები	25,355,115	1,408,342
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	25,355,115	1,408,342

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12/31/2023	12/31/2022
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10,651,460	15,786,909
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10,651,460	15,786,909

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12/31/2023	12/31/2022
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,836,402)	(4,939,498)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,836,402)	(4,939,498)

14. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება(ზარალი)

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	12/31/2023	12/31/2022
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	399,276	1,666,043
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(454,158)	(1,694,986)
სულ საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	(54,882)	(28,943)

15. კაპიტალი

GML-ის და მისი შვილობილის - Park Way Investors-ის კონსოლიდირებული კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა (2,080,155), 2022 წლის მდგომარეობით კი - (5,423,474).
ორივე კომპანიამ 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში მიიღო მოგება 7,467,328 ლარის ოდენობით.
2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში კი ზარალი - 6,401,897 ლარი.

16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები

კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს „დაბლ ა შიპინგი“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

2023	დოლარი	ევრო	ლარი	ფუნტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	9,684,052	501,054	882	17,480	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,626,145	711,977	19,862	-	10,203,468
სულ ფინანსური აქტივები	12,310,198	1,213,031	20,743	17,480	10,203,468
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,560,922	-7,959	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,560,922	(7,959)	-	-	-
წმინდა პოზიცია	749,276	1,220,990	20,743		2,187,670
2022	დოლარი	ევრო	ლარი		სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	559,864	883,556	1,743	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5,697,143	790,692	-	-	1,445,163
სულ ფინანსური აქტივები	6,257,007	1,674,248	1,743		1,445,163
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21,569,224	1,006,743	9,568	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	21,569,224	1,006,743	9,568		-
წმინდა პოზიცია	(15,312,218)	667,506	(7,825)	-	-

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

შპს „დაბლ ა შიპინგი“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2023 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

2023	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	10,203,468	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3,357,984	-	-	10,203,468
სულ ფინანსური აქტივები	13,561,452	-	-	3,357,984
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,552,963	-	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	-	-	11,552,963
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,552,963	-	-	-
				(11,552,963)
წმინდა პოზიცია	2,008,489	-	-	3,357,984
2022	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,445,163	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6,487,835	-	-	1,445,163
სულ ფინანსური აქტივები	7,932,998	-	-	6,487,835
	-			
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,585,535	-	-	-
გრძელვადიანი სესხები	-	-	-	22,585,535
სულ ფინანსური ვალდებულებები	22,585,535	-	-	-
				(22,585,535)
წმინდა პოზიცია	(14,652,537)	-	-	-

კაპიტალის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან, რომელიც ეკუთვნის მშობელი კომპანიის მფლობელებს და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა 9-ში.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელსაც მიღებაც შეუძლია კომპანიას, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

კომპანიის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	12/31/2023		31.12.2022	
	<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>სამართლიანი ღირებულება</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>	<i>სამართლიანი ღირებულება</i>
<i>ფული და ფულის ექვივალენტები</i>	10,203,468	10,203,468	1,445,163	1,445,163
<i>სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები</i>	3,357,984	3,357,984	6,487,835	6,487,835
<i>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</i>	11,552,963	11,552,963	14,435,542	14,435,542

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	20,650	30,000
	20,650	30,000

20. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს უარყოფითი EBITDA, განსხვავებით წმინდა მოგებისაგან. ჯგუფს აქვს წინა პერიოდებში აკუმულირებული მოგება. ხელმძღვანელობას არ აქვს სურვილი, შეაჩეროს ჯგუფის ოპერაციები და მზადაა, დამატებითი რესურსები მოიძიოს საჭიროების შემთხვევაში.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემულისა, საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა გარდა ქვემოთ მოცემულისა:

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ განაპირობა ჯგუფის ოპერაციების შემცირება. თუმცა ჯგუფის სტრატეგიაა, ოპტიმალური გზები გამოიხილოს შეკვეთების მისაღებად და სერვისის შესასრულებლად. ხელმძღვანელობა არ აპირებს ორგანიზაციის დახურვას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელი მოვლენები არ მომხდარა.

ხელმომწერი პირი:

დირექტორი

	2023	2022
მენეჯმენტის ანაზღაურება	20,650	30,000
	20,650	30,000

20. საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში კომპანიას აქვს უარყოფითი EBITDA, განსხვავებით წმინდა მოგებისაგან. ჯგუფს აქვს წინა პერიოდებში აკუმულირებული მოგება. ხელმძღვანელობას არ აქვს სურვილი, შეაჩეროს ჯგუფის ოპერაციები და მზადაა, დამატებითი რესურსები მოიძიოს საჭიროების შემთხვევაში.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა გარდა ქვემოთ მოცემულისა:

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამ განაპირობა ჯგუფის ოპერაციების შემცირება. თუმცა ჯგუფის სტრატეგიაა, ოპტიმალური გზები გამოიხილოს შეკვეთების მისაღებად და სერვისის შესასრულებლად. ხელმძღვანელობა არ აპირებს ორგანიზაციის დახურვას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელი მოვლენები არ მომხდარა.

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



შპს „დაბლ ა შიპინგი“

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერი

ჯგუფის მიმოხილვა და ისტორია (ინფორმაცია სუბიექტის საქმიანობის შესახებ)

საერთაშორისო გადაზიდვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს საზღვაო გადაზიდვები მისი ეკონომიურობიდან და უსაფრთხოების მაღალი კოეფიციენტიდან გამომდინარე. კომპანია „დაბლ ა შიპინგ“ -ის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის მიზანია მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვა საზღვაო გზით გადაზიდვის ხელშეკრულებით.

კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 445525325. რეგისტრირებული მისამართია საქართველო, ქალაქი - ბათუმი, ქუთაისის ქ. N34, არასაცხოვრებელი ფართი

შპს „დაბლ ა შიპინგ“ -ის 100% წილის მფლობელი და ბენეფიციარი არის ვლოდიმირ ჩერნიიევსკი, ხოლო დირექტორი დალი ჯიჯავაძე.

კომპანიაში დასაქმებულია ოთხი ადამიანი - ფოჩუა მალხაზ (დირექტორი), სიხარულიძე მარინა (მენეჯერი), წულაია ლარისა (მთავარი ბუღალტერი), კირიანოვა ალექსანდრა (ბუღალტერი).

შპს „დაბლ ა შიპინგ“ ოპერირებს ასევე შვილობილი კომპანია კორპორაცია „პარკ ვეი ინვესტორს“-ის (ID – 727259) მეშვეობით, რომლის რეგისტრაციის თარიღია 15 თებერვალი 2011 წელი. კომპანიის ბენეფიციარი არის ვლოდიმირ ჩერნიიევსკი, დირექტორი - რიკარდო ვასკეზი (2020-2021).

შპს „დაბლ ა შიპინგ“ „პარკ ვეი ინვესტორს“-ის 100% ის მფლობელია 2020 წლის 23 იანვრიდან.

გემის ძირითად პროცესებში და ამ პროცესების მენეჯმენტში ჩართულია კომპანია შპს „UKRFERRY“, რომლის მხრიდანაც ხდება გემის მომარაგება ყველა საჭირო ინვენტარით, ეკიპაჟის საკვებით და შესაბამისი კალკულაციებს აწვდის „ჯორჯია სი ვეის“ რის საფუძველზეც ხდება თანხების ჩარიცხვა მისი მხრიდან, ასევე საწვავით რაც გულისხმობს საწვავის კომპანიების მოძიებას (უშუალოდ ანგარიშფაქტურების მოწოდება ხდება უკვე ამ კომპანიებისგან). თურქეთში საკვებით მომარაგებას შპს „UKRFERRY“-ის ნაცვლად უზრუნველყოფს კომპანია BESTCHEM KİMYA A.Ş. კომპანიას ასევე ყავს სამი აგენტი: საქართველოში - U&G Agency, უკრაინაში - GLOBALTRANSPAROM, თურქეთში - “Dabkovic Deniz Acenteligi Nakliyat Ve Ticaret A.S.”, რომელთა მოვალეობაა ტვირთბრუნვის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული პროცესების კონტროლი, კოორდინაცია, დათვლა, ტარიფების გაკონტროლება, ყოველდღიური შესაბამისი ფაქტურების წარმოება, ყველა ტვირთბრუნვის შესახებ გემზე მოაწოდოს ინფორმაცია გემის მფლობელ კომპანიას, მომუშავე პერსონალის ცვლილებების შესახებ და ასევე ცდილობს შეამციროს ხარჯები და დრო შესაბამისი ოპერაციებისთვის.

კომპანია “UKRFERRY” მიზნად ისახავს იმ ქალაქების საზღვაო ისტორიისა და კულტურის შენარჩუნებას რომელშიც ოპერირებს და საქმიანობის მსვლელობისას ადევნებს თვალს გარემოსდაცვით მთლიანობას.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემები

ჯგუფის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით ჯგუფის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

კომპანიების საქმიანობას არეგულირებს მსოფლიო კანონმდებლობა საზღვაო გადაზიდვების შესახებ. კომპანია UKRFERRY რომელიც როგორც „დაბლ ა შიპინგ“ -ის, ასევე მისი შვილობილის მენეჯმენტშია ჩართული, ადებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001:2000 2001 წლის 11 დეკემბერს, რაც ადასტურებს მის მაღალ ხარისხს, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს გადაზიდვის ვაჭრობის და სამგზავრო და ტვირთის გადაზიდვის სფეროში.

კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია

შპს „დაბლ ა შიპინგი“ მის შვილობილ კომპანიასთან ერთად წარმოადგენს ერთიან ბიზნეს-ჯგუფს. „კომპანია“ სრულად აკონსოლიდირებს შვილობილის ფინანსურ შედეგებს და წარადგენს ერთიანი ბიზნეს-ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შვილობილების ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან . „დაბლ ა შიპინგი“ რომელიც ფლობს კორპორაცია „პარკ ვეი ინცესტორს“ 100%-ს, ასევე დაქირავებული ყავს მის მფლობელობაში არსებული გემი და მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი ნამეტი ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. „დაბლ ა შიპინგი“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. უკრაინა და თურქეთი.

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

2022 წლის დასაწყისიდან მოყოლებული, კერძოდ 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა უკრაინასა და რუსეთს შორის გამოიწვია მილიონობით უკრაინელის გადასახლება ქვეყნიდან და ასევე გართულდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მომარაგება უკრაინული ნაწარმით. ამის ფონზე 2022-2023 წელს შემცირდა ტვირთბრუნვა და შეიზღუდა ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობა. ჯგუფის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე არ აპირებს ორგანიზაციის დახურვას და გეგმავს რისკების საპასუხო ოპერაციების შემუშავებას.

20 სექტემბერი 2024

თბილისი საქართველო

დირექტორი

ბუღალტერი

დალი ჯიჯავაძე

ლარისა წულაია

ამის ფონზე 2022-2023 წელს შემცირდა ტვირთბრუნვა და შეიზღუდა ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობა. ჯგუფის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე არ აპირებს ორგანიზაციის დახურვას და გეგმავს რისკების საპასუხო ოპერაციების შემუშავებას.

20 სექტემბერი 2024

თბილისი საქართველო

დირექტორი

დალი ჯიჯავაძე



ბუღალტერი

ლარისა წულაია